



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №14/37

2017 წლის 16 ივნისი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ გზების სიის დამტკიცების შესახებ, რომლებზედაც ნებადართულია სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლება (სასწავლო სვლა)

“საგზაო მოძრაობის შესახებ” საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მათ სამოქმედო ტერიტორიებზე იმ გზების სიის დამტკიცება, რომლებზედაც ნებადართულია სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლება (სასწავლო სვლა).

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ გზების თანდართული სია, რომლებზედაც ნებადართულია სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლება (სასწავლო სვლა).

მუხლი 2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია 2017 წლის 16 ივნისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია

დანართი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ გზების სია, რომლებზედაც ნებადართულია სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლება (სასწავლო სვლა)

1. ილია ჭავჭავაძის ქუჩა;
2. ვახტანგ გორგასლის ქუჩა;
3. 9 აპრილის ხეივანი - დავით აღმაშენებლის ქუჩიდან ვახტანგ გორგასლის ქუჩის გზაჯვარედინამდე;
4. დავით აღმაშენებლის ქუჩა;
5. შოთა რუსთაველის რკალი;
6. ამირან დანელიას ქუჩა - პირველ გზაჯვარედინამდე;
7. ნიკო ნიკოლაძის სანაპირო წრიულის ჩათვლით ცოტნე დადიანის ხიდამდე;
8. ცოტნე დადიანის სახელობის ხიდი;
9. სამეგრელოს მოედანი;
10. კოტე მარჯანიშვილის ქუჩა სრულად;
11. მერაბ კოსტავას ქუჩა სრულად;
12. გიორგი ჭანტურიას ქუჩა;
13. ძუკუ ლოლუას ქუჩა;
14. ლაგრანჟეს ქუჩა.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია

